1938

ფასი 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა

# კრებული

№ 4—5 თებერვალი—მარტი 1938 წ.

## შინაარსი

### ბრძანებანი და განკარგულებანი

1. ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში ა/ს საშ. და საშ. სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების შესახებ . . . . 2
2. მასწავლებელთა ატესტაციის შესახებ . . 3
3. პოლიტ-სწავლების გაკვეთილების შესახებ მოზრდილთა ა/ს საშ. და საშ. სკოლებში . 17
4. საბიუჯეტო-საფინანსო გეგმების დამუშავების შესახებ . . . . . . . . . 25
5. მოზრდილთა ა/ს საშ. და საშ. სკოლებში 1937—38 სასწავ. წლის პირველ ნახევარში ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ 27
წ.-კ. უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მიმდინარეობის შესახებ . 23

### ინსტრუქციები და დებულებები

6. ინსტრუქცია სსსრ დაწყებითი, არასრულ საშუალო და საშ. სკოლებში ამჟამად მომუშავე მასწავლებელთა ატესტაციაში გატარების შესახებ — დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებლის პერსონალურ წოდებაზე . . . . . . . . . 4
7. სია იმ სასწავლებლებისა, რომელთა დამთავრება ეთანაბრება პედტექნიკუმის კურსის დამთავრებას . . . . . . . . 15
8. სია იმ სასწავლებლებისა, რომელთა დამთავრება ეთანაბრება საერთო საშუალო განათლებას . . . . . . . . . 15
9. სია იმ სასწავლებლებისა, რომელთა დამთავრება ეთანაბრება ორწლიან სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსის დამთავრებას 16
10. სია იმ სასწავლებლებისა, რომელთა დამთავრება ეთანაბრება უმაღლესი სასწავლებლის კურსის დამთავრებას . . . . 16
11. მასწავლებლის პირადი ბარათი . . . . 9
12. ოქმი . . . . . . . . . . . . 11
13. აქტი . . . . . . . . . . . . 12
14. შეხაჯამი ცნობები . . . . . . . . 14
15. დებულება აფხაზეთის და აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სახ. განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ბაზებისა . . . . . . . . . 18
16. დებულება საქართველოს სსრ სახ. განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტისა . . . . . . . 19
17. ა/ს საშ. და საშ. სკოლის 1937 — 38 სასწ. წლის მათემატიკის პროგრამის შესწორებანი 30

განსახკომი
თბილისი — 1938

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 362

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1938 წ. 27 იანვარს.**

### ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში დაწყებითი ა/ს საშუალო და საშ. სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების შესახებ.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში დაწყებითი, არასრული საშუალო და საშ. სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის წარმატებით ჩატარებისათვის და იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას არა პედგანათლების მქონე მასწავლებელთათვის საატესტაციო კომისიების დადგენილების საფუძველზე, სათანადო სასწავლებლის კურსზე გამოცდების ჩაბარება, ვბრძანებ:

1. აჭარის და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების სახალხო განათლების კომისარიატებთან და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის სახალხო განათლების განყოფილებასთან გაიხსნას საქართველოს სახალხო განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ბაზა.

2. დაევალოს საქ. სახ. განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტს უზრუნველჰყოს დასახელებულ ბაზებზე სათანადო ხელმძღვანელობა და პედმინიმუმისათვის მოსამზადებელი ქსელი გაშალოს აჭარასა, აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში.

3. დაევალოს საფინანსო-საგეგმო განყოფილებას უზრუნველჰყოს დასახელებული ბაზების დაფინანსება.

**განათლების სახალხო კომისრის მოადგილე**
**დ. ყიფშიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 503

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი.

**1938 წ. 2 თებერვალს**

## მასწავლებელთა ატესტაციის შესახებ.

რათა უზრუნველყოფილი იქნეს მასწავლებელთა ატესტაციის დამთავრება საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახკომსაბჭოს 1936 წლის 10 აპრილის დადგენილების თანახმად 1938 წლის 1-ლი აგვისტოსათვის, **ვბრძანებ:**

1. დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას მასწავლებელთა მეორე რიგის ატესტაცია.

2. დაევალოს საატესტაციო კომისიებს ადგილებზე შეამოწმონ ჩატარებული პირველი რიგის ატესტაციის მასალები და დასკვნები წარმომედგინოს მე დასამტკიცებლად.

3. დამტკიცდეს საატესტაციო კომისიების შემადგენლობის, მათ შორის რესპუბლიკის რაიონების განაწილების და მუშაობის კალენდარული გეგმის წარმოდგენილი პროექტი.

4. საატესტაციო კომისიების თავმჯდომარეების და წევრების თათბირის მოწვევა, მათი სათანადო ინსტრუქციებით მომარაგება და რაიონებში დროულად გამგზავრების უზრუნველყოფა დაევალოს განსახკომის ხელმძღვანელი კადრების განყოფილების გამგეს ამხ. ქობულიას.

5. მასწავლებელთა ატესტაციის ჩასატარებლად აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩამოყალიბდეს ორ-ორი საატესტაციო კომისია — ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისრების, ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგის და მათი მოადგილეების თავმჯდომარეობით.

დაევალოს აღნიშნული რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისრებს და ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს გამოჰყონ სათანადო კომისიები და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას.

განათლების სახალხო კომისარი

ერ. ბურჭულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ინსტრუქცია

## სსსრ დაწყებითი, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ამჟამად მომუშავე მასწავლებელთა ატესტაციაში გატარების შესახებ

## დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებლის პერსონალურ წოდებაზე.

**ატესტაციისათვის მოსამზადებელი მუშაობა.**

1. განათლების განყოფილებათა გამგეები ვალდებულნი არიან საატესტაციო კომისიას წესრიგში მოყვანილი დაახვედრონ მათი რაიონის თვითოეული მასწავლებლის პირადი საქმე და ატესტაციაში გასატარებელ მასწავლებელთა სიები.

მასწავლებლის პირადი საქმე უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) განათლების დამადასტურებელ საბუთს (დედანს, ან სათანადოდ დამოწმებულ ასლს), ბ) შრომის სიას, გ) მასწავლებლის ავტობიოგრაფიას. გ) მასწავლებლის დახასიათებას (შედგენილს დირექტორის (გამგის) მიერ და დადასტურებულს განათლების განყოფილების გამგის მიერ და ე) დაწესებული ფორმის მასწავლებლის პირად ბარათს, დამოწმებულს განათლების განყ. გამგის მიერ.

მასწავლებლის და სკოლის სხვა მუშაკთა პირადი საქმის წარმოების და შენახვის წესი განისაზღვრება სსსრ განსახკომის მიერ გამოცემულ სპეციალური ინსტრუქციით.

2. საბუთებად, რომლებიც განსაზღვრავენ მასწავლებლის განათლებას (კვალიფიკაციას), ითვლება: დიპლომი, ატესტატი, მოწმობა სათანადო სასწავლებლის დამთავრების შესახებ ან საბუთი მასწავლებლის წოდების მიღებაზე ექსტერნატის წესით.

განათლების მიხედვით მასწავლებლის ამა თუ იმ ჯგუფისათვის მიკუთვნება (უმაღლესი პედაგოგიური, საშუალო პედაგოგიური, უმაღლესი ზოგადი, საშუალო ზოგადი) სწარმოებს იმ სასწავლებლების მიხედვით, რომელთა სია თანდართულია (იხ. დანართი).

3. ის მასწავლებლები, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლები, სამასწავლებლო ინსტიტუტები ან საშუალო პედაგოგიური სასწავლებლები (ყოფ. პედტექნიკუმი), მაგრამ ზოგიერთ დისციპლინებში გამოცდების ჩაუბარებლობის გამო დიპლომის (ატესტატის ნაცვლად მიიღეს დროებითი მოწმობები), საატესტაციო კომისიის მიერ მიკუთნებული იქნებიან იმ პირთა რიცხვს, რომელთაც არ აქვთ დამთავრებული უმაღლესი ან საშუალო პედაგოგიური სასწავლებელი.

სავალდებულოა, ასეთი კატეგორიის მასწავლებლებმა იზრუნონ ატესტაციის მომენტისათვის მიიღონ სათანადო დიპლომი (ატესტატი ან მოწმობა) სასწავლებლის დამთავრებაზე.

**შენიშვნა:** თუ მასწავლებელს, სკოლის გამგეს, სასწ. ნაწ. გამგეს და დირექტორს საბუთი განათლების შესახებ არ გააჩნია, საატესტაციო კომისიაში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ცნობა განათლების შესახებ დამოწმებული მასწავლებელთა პროფკავშირის ორი წევრისა, და დადასტურებული კავშირის რაიკომის მიერ იმ პირობით, რათა ექვსი (6) თვის განმავლობაში წარმოდგენილ იქნეს განათლების შესახებ საბუთების დედნები ან იმათი ასლები.

4. საატესტაციო კომისიის მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელთა პირადი საქმეები ინახება განათლების განყოფილებაში, ეს მასალები გადაეცემა სარგებლობისათვის საატესტაციო კომისიას, ხოლო კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ განაწილდება სათანადო დაწესებულებებს შორის, თანახმად საქ. სსრ განათლების სახკომის მიერ გამოცემულ ინსტრუქციისა.

მასწავლებელთა პირადი საქმეების დედნები უბრუნდება მასწავლებლებს, ხოლო ასლები კი რჩება პირად საქმეებში.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც დაწყებითი, ა/ს საშუალო და საშუალო სკოლების მასწავლებლებს არ შეუძლიათ წარმოადგინონ საბუთი განათლების შესახებ (დედანი, ასლი ან ცნობა) მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, საატესტაციო კომისიებმა უნდა გამოიტანონ თავისი გადაწყვეტილება ამ კატეგორიის მასწავლებელთათვის წოდების მინიჭების შესახებ, მათი მუშაობის დახასიათების საფუძველზე, რომელსაც აძლევს სკოლის დირექტორი (გამგე), რაიონული (საქალაქო) სახ. განათლების განყოფილება, ან მასწავლებლის სკოლაში მუშაობის პირად გაცნობის ან სპეციალური გამოცდის ჩატარების საფუძველზე. ამ კატეგორიის მასწავლებლები სპეციალურ გამოცდას ექვემდებარებიან, ყოველ ცალკე შემთხვევაში, საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების მიხედვით.

## II. საატესტაციო კომისიების ორგანიზაცია და მუშაობის წესი.

6. საატესტაციო კომისია, რაიონში მოსვლისთანავე, ადგენს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგის მონაწილეობით თავის მუშაობის წესს და გეგმას და აცნობებს ამის შესახებ მასწავლებლებს სარაიონო (საქალაქო) მასწავლებელთა კრებაზე.

7. თავის მუშაობის დაწყების წინ საატესტაციო კომისიამ ზედმიწევნით უნდა შეამოწმოს ატესტაციაში გასატარებელ მასწავლებელთა პირად საქმეებში არსებული ყველა საბუთის სისწორე.

8. მასწავლებელთა ატესტაციის დროს საატესტაციო კომისიამ მასწავლებლის პირადი საქმის გაცნობის შემდეგ უნდა გამოიწვიოს პირად გასაცნობად ატესტაციაში გასატარებელი მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, კომისია ესწრება ატესტაციაში გასატარებელ მასწავლებლის გაკვეთილს.

9. საატესტაციო კომისიის სხდომას აუცილებლად ესწრება შესაბამი სკოლის დირექტორი (გამგე) ან მისი შემცვლელი პირი, აგრეთვე რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების გამგე ან მისი წარმომადგენელი.

10. საატესტაციო კომისიაში გამოწვეულ მასწავლებელთან კომისია ატარებს საუბარს, რომლის პროცესში დადგენილ უნდა იქნეს მისი შესაფერისობა საბჭოთა სკოლის მასწავლებლის მაღალი წოდებისათვის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური, აგრეთვე მისი პედაგოგიური მომზადების მხრივ. ეს საუბარი არ უნდა გადაიქცეს გამოცდად.

11. განხილულ მასალებისა და ატესტაციაში გასატარებელ მასწავლებელთან საუბრის საფუძველზე, კომისიას გამოაქვს თავის დასკვნა ამ პირისათვის დაწყებითი ან საშუალო სკოლის მასწავლებლის პერსონალური წოდების მინიჭების, ან მუშაობიდან დათხოვნის შესახებ მისი უვარგისობის გამო, ან მისთვის სკოლაში სამასწავლებლო მუშაობის უფლების მიცემის შესახებ, გამოცდების სავალდებულო ჩაბარების პირობით, სათანადო საშუალო ან უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლის კურსზე არა უგვიანეს მთავრობის მიერ დაწესებული ვადისა (ე. ი. არა უგვიანეს 1938 წლის 1 აგვისტოსი).

12. საატესტაციო კომისიას შეუძლია გამოიტანოს დასკვნა სათანადო პერსონალური წოდების მინიჭების შესახებ (დამატებითი გამოცდების სავალდებულო ჩაბარების გარეშე) იმ მასწავლებლის მიმართ, რომლებსაც, თუმცა არ აქვთ დამთავრებული სათანადო განათლება (ზოგადი ან პედაგოგიური) მაგრამ სრულიად საკმაო მომზადება აქვთ სამასწავლებლო მუშაობის წარმოებისათვის და წარმატებით უმუშავნია სკოლაში მასწავლებლად არა ნაკლებ ხუთი წლისა.

12. იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელს განათლების დამადასტურებელი საბუ-

თი აქვს, მაგრამ საატესტაციო კომისია დაეჭვდება პედაგოგიური მუშაობისათვის მის საკმაო მომზადებაში, კომისიას გადაწყვეტილება გამოაქვს მასწავლებლის მიერ სპეციალური გამოცდის ჩაბარების შესახებ.

14. მე-13 მუხლში აღნიშნული სპეციალური გამოცდები იწარმოებს:

ა) დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის პირველი ოთხი კლასის მასწავლებელთათვის პედსასწავლებლებსა ან საშუალო სკოლებთან, რომელთა სიას სსსრ განათლების სახალხო კომისარი ამტკიცებს. გამოცდებს აწარმოებს სპეციალური კომისია სათანადო სპეციალისტების მოწვევით;

ბ) მე-5-10 კლასის მასწავლებელთათვის სამასწავლებლო ინსტიტუტებსა და უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში.

15. ზემოაღნიშნული წესით სპეციალურ გამოცდებზე გასატარებელ მასწავლებელთა ცოდნის შემოწმება სწარმოებს მათ მიერ წერითი სამუშაოების შესრულების (მაგ. მშობლიურ ენაში, ლიტერატურაში, მათემატიკაში), ზეპირი საუბრის და ლაბორატორიული სამუშაოს შესრულების საშუალებით (მაგ., ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში).

გამოცდები სწარმოებს იმ საგნებში, რომლებშიაც მასწავლებელი თავის პრაქტიკულ მუშაობაში ამჟღავნებს არა საკმაო ცოდნას.

1-4 კლასების მასწავლებლების შემოწმება გამოსაცდელ საგნებში ხდება პედსასწავლებლის (ყოფ. პედტექნიკუმის) პროგრამით; 5-7 კლასების მასწავლებლების 2-წლიან სამასწავლებლო ინსტიტუტის პროგრამის მოცულობის ფარგლებში; 8-10 კლასების მასწავლებლების პედინსტიტუტის პროგრამის მოცულობის ფარგლებში.

გამოცდების ზუსტი წესი მოცემულია.

16. საატესტაციო კომისიას ჩატარებული გამოცდების შედეგი შეაქვს ოქმში. ოქმს ხელს აწერენ გარდა კომისიის წევრებისა ის სპეციალისტები, რომლებიც მოწვეული იყვნენ გამოცდის ჩასატარებლად. ოქმის დედანი რჩება საატესტაციო კომისიის საქმეებში, ასლი კი დაერთვის მასწავლებლის პირად საქმეს.

ამ ოქმის საფუძველზე საატესტაციო კომისიას თავისი გადაწყვეტილება გამოაქვს მასწავლებლისათვის სათანადო პერსონალური წოდების მინიჭებაზე.

**შენიშვნა:** ის პირნი, რომელთაც ასისტენტის, დოცენტის ან პროფესორის წოდება აქვთ და მუშაობენ საშუალო სკოლაში, ატესტაციისაგან თავისუფლდებიან.

17. საატესტაციო კომისია მასწავლებელთა ატესტაციის დროს აწარმოებს ოქმს დადგენილი ფორმით. ამონაწერი ოქმიდან კომისიის გადაწყვეტილებით დაერთვის მასწავლებლის პირად საქმეს.

18. საატესტაციო კომისიის საქმის წარმოება უნდა მოეწყოს შემდეგი წესით:

ა) ტექნიკური მუშაობის წარმოებისათვის საატესტაციო კომისია იწვევს განთავისუფლებულ მდივანს იმ მუშაკთა რიცხვიდან, რომელსაც გამოყოფს რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილება საატესტაციო კომისიის ამ რაიონში (ქალაქში) მუშაობის მთელი დროისათვის.

**შენიშვნა:** ამ მუშაკთა ხელფასით დაკმაყოფილებას აწარმოებს რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილება.

ბ) საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების გამგისაგან ღებულობს ატესტაციის გამვლელ მასწავლებელთა ყველა პირად საქმეს აქტით და ატესტაციის დამთავრების შემდეგ მათ უკან უბრუნებს რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ისევ აქტით ხელწერილის ქვეშ.

გ) კომისიის თითოეულ სხდომაზე იწერება ოქმი სამ ცალად და ბროშურდება ცალკე პაპკებში (ყდებში) თითოეული რაიონის (ქალაქის) მიხედვით გვერდების დანომვრით და ზონარ გაყრით. კომისიის ოქმები ფორმდება ცალ-ცალკე დაწყებითი სკოლის (1-4 კლასის) და არასრული საშუალო და საშუალო სკოლის (5-10 კლასის) მასწავლებელთა ატესტაციაზე.

ყველა ოქმი ხელმოწერილი უნდა იქნას კომისიის თავმჯდომარის და. წევრების მიერ. ოქმის ერთი ცალი ხელწერილქვეშ ბარდება რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების გამგეს და ორი ცალი ერდგინება სსსრ განათლების სახ. კომისარს.

დ) კომისიის საქმისწარმოების სწორი და ზედმიწევნითი დაყენებისათვის ყველა დოკუმენტის დაცვისა და დადგენილი ნიმუშით გაფორმებისათვის პერსონალურად პასუხისმგებელია საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის მასალების შენახვისათვის რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები ვალდებულნი არიან მიუჩინონ საატესტაციო კომისიას სპეციალური ბინები ან ცეცხლგამძლე შკაფები, რომელთა გასაღები ინახება კომისიის თავმჯდომარესთან.

19. საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია სპეციალური ჯუმლით (დადგენილი ფორმით) ყოველ დეკადაში აცნობოს განათლების სახალხო კომისარს საატესტაციო კომისიის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო საატესტაციო მუშაობის დამთავრების შემდეგ საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე უდგენს განათლების სახ. კომისარს მთლიან დასკვნითი ანგარიშს, არა უგვიანეს ხუთი დღის ვადისა.

20. ავტ. სს რესპუბლიკების განსახკომები და ავტ. ოლქის განათლ. განყოფილება აგზავნიან დეკადურ ცნობებს მასწავლებელთა ატესტაციის მიმდინარეობის შესახებ სსსრ განსახკომის ხელმძღვანელი კადრების განყოფილებაში.

**III. საატესტაციო კომისიების დასკვნების და მასალების დასამტკიცებლად წარმოდგენა სსსრ განათლების სახკომისარიატისადმი.**

21. საატესტაციო კომისიების გადაწყვეტილებანი რაიონში (ქალაქში) კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ დაყვანილ უნდა იქნას რაიონის (ქალაქის) მასწავლებლებამდე, რომელთაც გაიარეს ატესტაცია.

22. საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე რაიონში (ქალაქში) მუშაობის დამთავრების შემდეგ კომისიის მასალებს პირადად უდგენს სსსრ განათლების სახკომს განსახილველად შემდეგი სახით:

ა) მოხსენებითი ბარათს ამ რაიონში (ქალაქში) ჩატარებულ საატესტაციო მუშაობის შედეგებზე, შენაჯამ ცნობის დართვით ატესტაცია გავლილ მასწავლებელთა შესახებ დადგენილი ფორმით.

ბ) სათანადო წესით გაფორმებულ კომისიის ოქმებს 2 ცალად ცალ-ცალკე დაწყებითი სკოლის (1-4 კლ.) და არასრული საშუალო და საშუალო სკოლის (5-10 კლ.) მასწავლებელთა ატესტაციაზე;

გ) პირადი სააღრიცხვო ბარათების ასლებს 2 ცალად ატესტაცია გავლილ ყოველ მასწავლებელზე.

23. ასსრ განსახკომები და ავტ. ოლქის სახალხო განათლების განყოფილება საატესტაციო კომისიისაგან მასალების მიღების შემდეგ იხილავენ ამ მასალებს და თავის გადაწყვეტილებებს მათ შესახებ არა უგვიანეს ერთი დეკადისა საატესტაციო კომისიისაგან მასალების მიღების მომენტიდან, უგზავნიან სსსრ განსახკომს შემდეგი საბუთების თანდართვით:

ა) სათანადო წესით გაფორმებული საატესტაციო კომისიის ოქმები ორ ცალად: ცალკე დაწყებითი სკოლის მასწავლებლებზე და ცალკე არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მასწავლებლებზე;

ბ) პირადი სააღრიცხვო ბარათები ორ ცალად თითოეულ მოსწავლეებზე, რომელმაც გაიარა ატესტაცია და წარედგინა დასამტკიცებლად სსსრ განათლების სახალხო კომისარს;

გ) შენაჯამი ცნობა ერთ ცალად ასსრ და ავტ. ოლქის იმ მასწავლებლებზე, რომლებიც წარედგინება სსსრ განათლების სახალხო კომისარს დასამტკიცებლად.

შენიშვნა: ა) საატესტაციო კომისიის მიერ წარმოდგენილ მე-22 მუხლში ჩამოთვლილ დოკუმენტების თითო ცალს იტოვებს ასსრ განსახკომი და ავტ. ოლქის სახალხო განათლების განყოფილება.

ბ) მასალები დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მასწავლებელთა შესახებ იგზავნება სსსრ განსახკომის ხელმძღვანელ კადრების განყოფილებაში.

24. სსსრ განსახკომის ხელმძღვანელი კადრების განყოფილება დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოების მონაწილეობით იხილავს ასსრ განსახკომების, ავტ. ოლქის სახალხო განათლების განყოფილებისა და საატესტაციო კომისიის მიერ წარმოდგენილ მასალებს და განხილვის შემდეგ ამ მასალებს თავისი დასკვნით წარუდგენს სსსრ განათლე-

ბის სახალხო კომისარს არა უგვიანეს ერთი დეკადისა მასალების მიღების მომენტიდან.

25. სსსრ განათლების სახალხო კომისრის ბრძანების საფუძველზე, წარმოდგენილ მასწავლებელთათვის პერსონალურ წოდების მინიჭების შესახებ, სსსრ განსახკომის ხელმძღვანელი კადრების განყოფილება ავსებს ატესტატებს თითოეულ მასწავლებელზე და განათლების სახალხო კომისრის მიერ მათი ხელმოწერის შემდეგ უგზავნის ატესტატებს ასსრ განსახკომებს და ავტ. ოლქის და სარაიონო (საქალაქო) სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს სპეციალურ პირთა მეშვეობით, რომელთაც ავლინებენ ასსრ განსახკომები და განათლების განყოფილებები ამ მიზნისთვის სსსრ განსახკომში, მასწავლებელთათვის მათ ჩასაბარებლად, მასწავლებლის პირადი ხელწერილის ბლანკის თანდართვით მის მიერ ატესტატის მიღებაზე 2 ცალად, რომლებიდანაც ერთი რჩება ასსრ განსახკომებისა და სახალხო განათლების განყოფილებათა საქმეებში და მეორე ცალი კი ბრუნდება სსსრ განსახკომში.

მასწავლებელთა პირად საალრიცხვო ბარათებში, რომლებიც სსსრ განსახკომში, ასსრ განსახკომებში, ავტ. ოლქის და რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებებში ინახება, აღინიშნება მასწავლებელთათვის ატესტატის ჩაბარება, სსსრ განსახკომის ბრძანების № და მათთვის დაწყებითი ან საშუალო სკოლის მასწავლებლის პერსონალური წოდების მინიჭების შესახებ.

26. ასსრ განათლების სახალხო კომისრები, ავტ. ოლქის და რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები იწვევენ პირადად ყოველ მასწავლებელს და ხელწერილის ქვეშ აბარებენ მათ ატესტატს.

რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგე აწარმოებს ოწყისს (სიას) იმ მასწავლებლებზე, რომლებმაც მიიღეს ატესტატები.

**IV. საატესტაციო კომისიების გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესი.**

27. მასწავლებელთა საჩივრები საატესტაციო კომისიების გადაწყვეტილებათა შესახებ ასსრ რესპუბლიკებისა და ოლქში განიხილება პირადად სათანადო განათლების სახალხო კომისრისა და ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მიერ, ხოლო სსრ. დანარჩენი ქალაქებიდან და რაიონებიდან შემოსულ საჩივრებს განიხილავს სსსრ განათლების სახალხო კომისარი.

28. ასსრ განსახკომების და ავტ. ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გადაწყვეტილებაზე დაუთანხმებლობის შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია მათი გადაწყვეტილება გაასაჩივროს სსსრ განათლების სახალხო კომისართან.

**5. საატესტაციო. მუშაობის ხელმძღვანელობა.**

29. სსსრ განსახკომში მთელს საატესტაციო მუშაობას ხელმძღვანელობს ხელმძღვანელი კადრების განყოფილება.

30. ასსრ განსახკომებში და ავტ. ოლქის სახალხო განათლების განყოფილებაში მთელს საატესტაციო მუშაობას ხელმძღვანელობენ უშუალოდ განათლების სახალხო კომისრები და ავტ. ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგე და ხელმძღვანელი კადრების მთავარი ინსპექტორები.

31. ასსრ განსახკომებმა და ავტ. ოლქის სახალხო განათლების განყოფილებამ უნდა უზრუნველყონ მასწავლებელთა საატესტაციო მუშაობის მიმდინარეობის სისტემატური ოპერატიული ხელმძღვანელობა და შემოწმება ადგილებზე (პირადად განათლების სახალხო კომისრების და ავტ. ოლქ. სახალხო განათლების განყოფილების გამგის გასვლები რაიონებში), სადაც მუშაობენ საატესტაციო კომისიები, ადგილებზე გაგზავნა საატესტაციო მუშაობის მსვლელობის შესამოწმებლად, სასწრაფო შემთხვევაში საატესტაციო კომისიების თავმჯდომარეების გამოძახება ასსრ განათლების სახალხო კომისართან ან ავტ. ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგესთან პირადი მოხსენებისათვის და სხვ.

**საქართველოს სსრ განათლების**

**სახ. კომისარი ერ. ბურჭულაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასწავლებლის პირადი ბარათი №
# ЛИЧНАЯ КАРТОЧКА УЧИТЕЛЯ

სკოლის სრული სახელწოდება ……………………
Полное название школы

………… ასსრ (ავტ. ოლქი) ………… რაიონი, ქალაქი ………… სოფელი …………
АССР (авт область) район, город село

სკოლის სწორი მისამართი: ……………………
Точный адрес школы:

გვარი …………… სახელი …………… მამის სახელი ……………
Фамилия имя отчество

| №№ რიგ. | კითხვები–Вопросы | პასუხი–Ответы |
|---|---|---|
| 1 | დაბადების წელი Год рождения | |
| | პარტიულობა, პარტსტაჟი, კომკავშირის სტაჟი<br>Партийность, партстаж комсомольский стаж | |
| 3 | პედაგოგიური სტაჟი, როდის დაიწყო პედაგ. მუშაობა<br>Педагогич. стаж, когда начал педагог. работу | |
| 4 | პროფკავშირის სტაჟი Профсоюзный стаж | |
| 5 | ეროვნება Национальность | |
| 6 | განათლება: Образование:<br>ა) საერთო (რომელი სასწავლებელი დაამთავრა)<br>а) Общее (какое учебное заведение окончил)<br>ბ) სპეციალური (რომელი სასწავლებ. დაამთავრა)<br>б) Специальное (какое учебное завед окон.)<br>გ) სპეციალობა г) Специальность<br>დ) როდის და რა გადასამზადებელი კურსები გაიარა<br>д) Когда и какие переподгот. курсы прошел<br>ე) ექსტერნად რომელი სასწავლებლის კურსზე ჩააბარა გამოცდა – е За курс какого учебного заведения сдал испытания экстерном | |
| 7 | როდის და ვისი ბრძანებით დაინიშნა ამ სკოლის მასწავლებლად (ბრძანების თარიღი და №) Когда и по приказу кого назначен учителем в эту школу (дата и № приказа) | |
| 8 | რომელ კლასში რა საგანს ასწავლის და რომელ ენაზე<br>В каком классе какой предмет подает и на каком языке | |
| 9 | რომელ უცხო და სსრკ ხალხთა ენებზე ლაპარაკობს<br>На каких иностр. языках и народов СССР говорит | |
| 10 | ჰქონდა თუ არა სასჯელი (როგორი, როდის, რისთვის<br>Подвергался ли взыскан. (каким, когда и за что) | |

მიენიჭა …………………… სკოლის მასწავლებლის პერსონალური წოდება სსსრ განათლების სახალხო კომისარის ბრძანებით № ………… 193 წ. „……“ ……………

Присвоено персональное звание учителя …………………… школы приказом Наркома просвещения от …………………… 193 г. за № …………

ჩაბარდა ატესტატი …………………… სკოლის მასწავლებელის წოდებაზე № ………… 193 წ. „……“ ……

Вручен аттестат на звание учителя …………………… школы за № ………… „……“ ………… 193 г

დაწესებულების პასუხისმგებელი პირის ხელისმოწერა (თანამდებობის აღნიშვნით) ……………………
Подпись ответственного лица учреждения (с указанием должности)

## სამსახურის ან სწავლების გავლა არა ნაკლებ ერთი წლისა

Прохождение службы или учебы, не менее одного года

ეროვნული ბიბლიოთეკა

| დაწესებულების ადგილმდებარეობა<br>**Местонахождение учреждения** | სკოლის ან დაწესებულების (საწარმოს) სახელწოდება<br>**Название школы или учреждения ((предприят.)** | თანამდებობა ან შესასრულებელი სამუშაო<br>**Должность или выполняемая работа** | სამსახურში შესვლის წელი<br>**Год вступления на службу** | სამსახურიდან წასვლის წელი<br>**Год ухода со службы** | საფუძველი<br>**Основание** |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

ცნობის მიმცემი პირის ხელისმოწერა ..............................................

Подпись лица, дающего сведения

193 წ. г. „..........“ ..............................

დაწესებულების პასუხისმგებელი პირის ხელისმოწერა (თანამდებობის აღნიშვნით) ..............................

Подпись ответственного лица учреждения (с указанием должности)

193 წ. г. ..............................................

ბ. ა.
М. П.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოქმი
# Протокол №

სსსრ განსახკომის საატესტაციო კომისიის სხდომისა ______
Заседания аттестационной комиссии Наркомпроса Грузинской ССР
რაიონში მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების შესახებ
производящей аттестацию учителей в ______ районе (городе)

„ —— „ ______ 193 ____ წ. г.

**საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე**
Председатель аттестационной комиссии

**საატესტაციო კომისიის წევრები:** 1.
Члены аттестационной комиссии: 2.

**კომისიის ტექნიკური მდივანი**
Секретарь аттестационной комиссии

**სხდომას დაესწრნენ:** 1.
На заседании присутствовали: 2.

---

| | | |
|---|---|---|
| **მოისმინეს:** (სკოლის სრული სახელწოდება, მასწავლებლის თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი, ძირითადი ცნობები მის შესახებ: განათლება (საერთო სპეციალური), პარტიული მიმართულება, პედაგოგიური სტაჟი, რა საგანს ასწავლის და რომელ კლასებში, მუშაობის დახასიათება, მიღებული ჯილდოები, პასუხისგებაში ყოფნა, სასჯელი. წარმოდგენილი საბუთები. საჭიროებისამებრ კომისიის კითხვები და მასწავლებლის პასუხი).<br><br>Слушали: (Полное название школы, должность учителя, фамилия, имя, отчество и основные данные об учителе: образование (общее, специальное), партийность, педагогический стаж, какой предмет преподает и в каких классах. Характеристика работы учителя. Награды и поощрения: судимость, наказания. Представленные документы. По мере надобности вопросы комиссии и ответы учителя). | **შენიშვნა**<br><br>Примечание | **დაადგინეს:**<br>(კომისიის დასკვნა)<br>Постановили:<br>(заключение комиссии) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქტი

ეს აქტი შედგენილია საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ..............................

—————————————————— და ..............................................................რაიონის (ქალაქის)
განათლების განყოფილების გამგის ამხ. ———————————————— მიერ იმის შესახებ, რომ პირველმა მიიღო, ხოლო მეორემ ჩააბარა საატესტაციო კომისიისათვის ..............................

——————————რაიონის (ქალაქის) დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების იმ მასწავლებელთა პირადი საქმეები, რომლებიც უნდა გატარდენ ატესტაციაში, შემდეგი სიისა და ფორმის მიხედვით:

# АКТ

Настоящий акт составлен председателем аттестационной комиссии тов. ..............................

—————————————— и заведующим ————————————————районным (городским) отделом народного образования тов. ————————————
в том, что первый принял, а второй сдал для аттестационной коммиссии личные дела учителей начальных, неполных средних и средних школ ..............................
района (города), подлежащих аттестации по следующему списку и форме:

| გვარი, სახელი, მამის სახელი, სკოლის სახელწოდება, მასწავლებლის თანამდებობა<br>Фамилия, имя, отчество. Название школ, должность учителя | პირადი საქმის № და გვერდის რაოდენობა<br>№ и число страниц личного дела | პირად საქმეს აკლია შემდეგი საბუთები<br>В личном деле отсутствуют следующие документы | შენიშვნა<br>Примечание |
|---|---|---|---|
| | | | |

მიიღო: საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე ..............................................................

Принял: председатель аттестационной комиссии

ჩააბარა ........................................ რაიონის (ქალაქის) განათლ. განყ. გამგე ....................................

Сдал: Заведующий ........................................ районным (городским) отделом народного образования ........................................

193...... წ. г. „......“ ........................................

ამ სიის მიხედვით მასალები და ფორმა დაუბრუნდა საატესტაციო კომისიის მიერ ........................................ რაიონის განათლების განყოფილებას.

Материалы по настоящему списку и форме возвращены аттестационной комиссией ........................................ районному (городскому) отделу народного образования.

მიიღო: ........................................ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგე

Принял: заведующий ........................................ районным (городским) отделом народного образования ........................................

ჩააბარა: საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე ........................................

Сдал: председатель аттестационной комиссии

193...... წ. г. „......“ ........................................

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენაჯამი ცნობები ИТОГОВЫЕ СВЕДЕНИЯ

იმ პირთა შესახებ, რომლებმაც გაიარეს ატესტაცია დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებელთა წოდებაზე ............
რაიონში (ქალაქში) 193 ....... წ. „ ——— „ ...............

о лицах, прошедших аттестацию на звание учителя начальной и средней школы в .................... районе ............ 193 г.

| №№ რიგზე / по порядку | სკოლის ტიპები / Типы школ | სკოლების საერთო რიცხვი რაიონში / Общее число школ в районе | მასწავლებელთა საერთო რიცხვი რაიონში / Общее число учителей в районе | მათ შორის ატესტაცია გაიარეს / Из них прошли аттестацию: | | | | | | ატესტაციის შედეგები / Результаты аттестации | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | მიენიჭა წოდება / Присвоено звание | | | | | | | |
| | | | | დაბალი განათლების მასწავლებელთა რიცხვი / Число учителей с низшим образованием | საშუალო განათლების მასწავლებელთა რიცხვი / Число учителей со средним образованием | მ. შ. არა პედაგოგიური განათლებით / В т. ч. с непедагогическим образованием | უმაღლესი განათლების მასწავლებელთა რიცხვი / Число учителей с высшим образованием | მ. შ. არა პედაგოგიური განათლებით / В т. ч. с непедагогическим образованием | დაწყებითი სკოლის მასწავლებლის / Учителя начальной школы | საშ. სკოლის მასწავ. 5–7 კლ. სწავლების უფლებით / Учителя средн. школы с правом преподав. в V–VII клас. | საშუალო სკოლის მასწავლებლის / Учителя средней школы | ს უ ლ / И т о г о | დატოვებულია პედმინიმუმის ჩაბარების პირობით / Оставлены с услов. сдачи педминимума | გადადებულია ატესტაცია / Отложена аттестация | უარი ეთქვა წოდებაზე / Отказано в звании | ს უ ლ / И т о г о | |
| 1 | დაწყებითი სკოლები / Начальные школы | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | არასრული საშუალო სკოლები / Неполные сред. шк. | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | საშუალო სკოლები / Средние школы | | | | | | | | | | | | | | | | |
| | ს უ ლ / В с е г о | | | | | | | | | | | | | | | | |

საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე
Председатель аттестационной комиссии

კომისიის წევრები: 1. ..............................
Члены комиссии: 2. ..............................

........................ რაიაღმასკომის სახ. გან. განყოფილების გამგე ........................
Заведующий ОНО ........................ РИК'а ........................

193 ___ წ. г. ........................

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სია

## იმ სასწავლებლებისა, რომელთა დამთავრება ეთანაბრება პედტექნიკუმის კურსის დამთავრებას.

### I რევოლუციამდელი პერიოდი.

1. სამასწავლებლო სემინარიები — ვაჟთა და ქალთა.
2. საერობო და სამინისტრო სამასწავლებლო სკოლები.
3. სამრევლო სამასწავლებლო სკოლები.
4. ქალთა გიმნაზიები — დამატებითი, მერვე პედაგოგიური კლასით.
5. წმ. ნინოს სასწავლებლები — დამატებითი პედაგოგიური კლასით.
6. ეპარქიალური სასწავლებლები — დამატებითი პედაგოგიური კლასებით.
7. ვაჟთა გიმნაზიები და რეალური სასწავლებლები არა ნაკლებ 3 თვისა პედაგოგიური კურსების გავლის პირობით.
8. 1872 წ. დებულების საფუძველზე ორგანიზებული სამოქალაქო სასწავლებლები და უმაღლეს დაწყებითი სკოლები — სამწლიანი პედაგოგიური კურსების გავლის პირობით.
9. ანანოვისა და გაიენს სახ. სომხური ქალთა სასწავლებლები პედაგოგიური კლასებით.
10. ექსტერნატი მასწავლებლის წოდებაზე სასწ. ოლქთან და პედსასწავლებლებთან.

### II რევოლუციის შემდგომი პერიოდი.

1. პედგანხრიანი ცხრაწლედები არა ნაკლებ სამი თვისა პედაგოგიური კურსების გავლის პირობით.
2. ათწლედები-პედაგოგიური დისციპლინების შესწავლისა და პედ-ტექნიკუმთან ამ დისციპლინებში სათანადო გამოცდების ჩაბარების პირობით.
3. დაუსწრებელი კურსები პედტექნიკუმის (კურსის დამთავრება სათანადო დიპლომის მიღების პირობით).
4. ტფ. ყოფ. ერთწლიანი პოლიტექნიკური შრომის ინსტიტუტი.

# სია

## იმ სასწავლებლებისა, რომელთა დამთავრება ეთანაბრება საერთო საშუალო განათლებას.

### I. რევოლუციამდელი პერიოდი.

1. ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები
2. რეალური სასწავლებელი
3. სასულიერო სემინარია
4. სომხური სასულიერო სემინარია
5. ქალთა ინსტიტუტი
6. ეპარქიალური სასწავლებელი.
7. 1872 წ. დებულების საფუძველზე ორგანიზებული სამოქალაქო და უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლები კურსის დამთავრების შემდეგ ერთწლიანი სამასწავლებლო კურსების დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდებაზე გავლის პირობით.
8. ტფილისის კულტურულ-ტექნიკური სასწავლებელი-ვინოგრადოვისა.

### II. რევოლუციის შემდგომი პერიოდი.

1. საშუალო სკოლა.
2. ცხრაწლედები და ათწლედები.
3. სხვადასხვა (არაპედაგოგიური) ტექნიკუმები.

# სია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იმ სასწავლებლებისა, რომელთა დამთავრება ეთანაბრება 2 წლიან სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსის დამთავრებას.

### I. რევოლუციამდელი პერიოდი.

1. სამასწავლებლო ინსტიტუტები.

2. მოსკოვის ალფეროვის მიერ დაარსებული პედაგოგიური კურსები.

3. ტიხომიროვის სახელობის აღმზრდელთა და მასწავლებელთა საზოგადოებასთან არსებული მოსკოვის პედაგოგიური კურსები.

4. მარიამის სახელ. ქალთა გიმნაზიასთან არსებული პედ. კურსები პეტროგრადში.

5. პედკურსები პეტროგრადის მარიამის ქალთა გიმნაზიასთან — სპეციალობანი: რუსული ენა, მათემატიკა, გეოგრაფია და უცხო ენები.

6. კურსები საშუალო სკოლებისა და უმაღლ. დაწყებითი სკოლების მასწავლებელთათვის — სასწავლო ოლქთან და სამასწავლებლო ინსტიტუტებთან.

7. ექსტერნატი სასწავლო ოლქთან და სამასწავლებლო ინსტიტუტებთან მაღალი ტიპის სკოლებში (რევოლუციამდე) ზოგადი განათლების საგნების სწავლების უფლებაზე.

8. უმაღლესი სასწავლებლის სამი კურსის დამთავრება.

9. ოდესის ქალთა პედაგოგიური კურსები.

10. ლოხვიცკაია — სკალონის ახალი ენების ქალთა კურსები პეტროგრადში.

11. ბობრიშჩევ-პუშკინის ენების ქალთა სპეცკურსები პეტროგრადში.

12. პოლტარაცკის უცხო ენების ქალთა კურსები — მოსკოვში.

13. სტეპანოვის უცხო ენათა კურსები მოსკოვში.

14. ლავრენტიევის უცხო ენათა კურსები პეტროგრადში.

15. უცხო ენათა მთავრობის კურსები პეტროგრადში.

16. უცხო ენათა კურსები ქალთა ინსტიტუტებთან: ნიკოლოზის და ალექსანდრეს სახელობის პეტროგრადში და ეკატერინეს სახ. მოსკოვში.

17. სამხატვრო სასწავლებელი (სტროგანოვის მოსკოვში, შტიგლიცის პეტროგრადში, პენზის, ლოძის და სხვა. (ხატვაში).

18. ვარშავის ახალ ენათა პედაგოგიური კურსები.

19. დემიდოვის უცხო ენათა კურსები პეტროგრადში.

### II. რევოლუციის შემდგომი პერიოდი

1. სახალხო განათლების ინსტიტუტი.

2. სახალხო განათლების პრაქტიკული ინსტიტუტები.

3. კომუნისტური უნივერსიტეტები.

4. უმაღლესი სასწავლებლის სამი კურსი.

5. ტფილისის ორწლიანი პედ. ინსტიტუტი.

# სია

## იმ მასწავლებლებისა, რომელთა დაზთავრება ეთანაბრება უმაღლესი სასწავლებლის კურსის დამთავრებას.

1. ყველა უნივერსიტეტი.

2. საისტორიო ფილოლოგიური ინსტიტუტები

3. ტფილისის ყოფ. ქალთა უმაღლესი კურსები-ბლაგოვიდოვისა.

4. ბესტუჟევის უმაღლესი კურსები-პეტროგრადში.

5. გერიეს ქალთა უმაღლესი კურსები — მოსკოვში.

6. განათლების სახალხო სამინისტროს ქალთა უმაღლესი კურსები (საისტორიო ფილოლოგიური და ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. მშრომელ ქალთა ურთი-ერთ დამხმარე საზოგადოების კერძო უმაღლესი კურსები ხარკოვში.

8. შელაპუტინის სახელობის ინსტიტუტი ხარკოვში.

9. პეტროგრადის ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტი.

10. ფრებელის უმაღლესი კურსები — პეტერბურგში და კიევში.

11. ტექნოლოგიური, პოლიტექნიკური, სატყეო, სამთო და ელექტრო-ტექნიკური ინსტიტუტები.

12. უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი მოსკოვში.

13. პეტროვსკი-რაზუმოვსკის აკადემია

14. კონსერვატორიები და სამხატვრო აკადემიები (მუსიკისა და ხატვაში).

15. პედაგოგიური აკადემია პეტროგრადში.

16. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი-ნოვო ალექსანდრიაში.

17. ფერწერის, ქანდაკების და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი მოსკოვში (მხატვართა საზოგ.).

18. სასულიერო აკადემია (საისტორიო და ლიტერატ. განყოფილება).

19. აღმოსავლეთის ენების ლაზარევის სახ. მოსკოვის ინსტიტუტი.

20. საზღვარგარეთული უმაღ. სასწავლებლები (სპეც. საგნებში).

# ბრძანება № 361

## განათლების სახ. კომისარიატისადმი

1938-წ. 26 იანვარს

### პოლიტ-სწავლების გაკვეთილებისშესახებ მოზრდილთა ა/ს საშ. და საშ. სკოლებში.

მოზრდილთა ა/ს საშუალო და საშუალო სკოლების გაკვეთილების ცხრილში მოცემული სასწავლო გეგმის გარეშე შეტანილ იქნას პოლიტ-სწავლების გაკვეთილი ყოველი თვის 1, 10, 20 რიცხვებში, დღეში ორი აკადემიური საათის რაოდენობით.

განათლების სახ. კომისარი

ერ. ბურჭულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დებულება

## აფხაზეთის და აჭარის ავტ. საბჭ. სოც. რესპუბლიკებისა და სამხრ. ოსეთის ავტ. ოლქის სახ. განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ბაზებისა

1. ავტონომიურ რესპუბლიკებში: აფხაზეთის აჭარის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში მასწავლებელთა ატესტაციის წარმატებით ჩატარებისათვის ეწყობა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ბაზა.

2. სახ. განათლების კადრების კვალ. ამაღლების ინსტიტუტის ბაზის მიზანია: ა) ავტონომიურ რესპუბლიკაში გაატაროს კვალ. ამაღლების ინსტიტუტის ღონისძიებანი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების დარგში.

ბ) ხელი შეუწყოს კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტს პედმინიმუმში გამოცდების ჩასაბარებლად დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებელთა მომზადების საქმეში.

გ) ადგილზე უხელმძღვანელოს პედმინიმუმის გატარებისათვის მუშაობის ორგანიზაციას.

დ) დაეხმაროს მასწავლებლებს პედმინიმუმის ჩაბარებაში (ლიტერატურის შიწოდება, კონსულტაციის მოწყობა, რადიო-ლექციების მოწყობა, ადგილებზე კვალიფიციური ლექტორების მივლინება და სხვა).

3. ავტონომიურ რესპუბლიკაში კვალიფიკაციის ამაღლების ბაზა წარმოადგენს დროებითი ხასიათის დაწესებულებას, რომლის მუშაობა უმთავრესად უნდა წარიმართოს პედმინიმუმის გატარების ხაზით და იზრუნოს აგრეთვე საერთოდ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

4. კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ბაზას, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ სოც. ს. რესპუბლიკებში და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში აქვს პედმინიმუმის სარაიონო პუნქტები, რომელთა საშუალებითაც ბაზა აწყობს მუშაობის ორგანიზაციას ცალკე რაიონებში.

5. ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრ. ოსეთის ავტონომიური ოლქის ბაზები მუშაობენ საქ. სახ. განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ხელმძღვანელობით და ინსტიტუტი პასუხისმგებელია მათი მუშაობის წესიერ დაყენებაში.

6. კვალიფიკაციის ამაღლების ბაზა ეწყობა აჭარისა და აფხაზეთის განათლების სახ. კომისარიატთან და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის საოლქო სახ. განათლების განყოფილებასთან.

7. კვალიფიკაციის ამაღლების ბაზები ეწყობა ადგილობრივ ბიუჯეტზე (მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სახსრებზე) შემდეგი საშტატო ერთეულებით:

1) ბაზის გამგე . . . . . 1
2) ინსტრუქტორი . . . . 3
3) საქმ. მწარმოებელი-მოანგარიშე (დაწყ., არასრული და საშ. სკოლებისა). . 1
4) მემანქანე-სტატისტიკოსი . . 1

8. ავტონომიურ რესპუბლიკის და ოლქის თვითეულ რაიონში კვალიფიკაციის ამაღლების ბაზას ყავს სარაიონო პუნქტის გამგეები.

განათლების სახ. კომისრის მოადგილე

დ. ყიფშიძე

„ვამტკიცებ"
საქ. განსახკომის მოადგილე
დავ. ქიფშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დებულება

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტისა.

### I. ინსტიტუტის მიზანი.

საქართველოს სახ. გან. კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის მიზანია დაწყებითი, ა/სრ. საშ. და საშუალო სკოლის და პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებლების, სახალხო განათლების ხელმძღვანელი კადრების, საბავშვო ბაღების გამგეებისა და მასწავლებლების, სკოლის სხვადასხვა მომუშავეების (პიონერ ხელმძღვანელების, ბიბლიოთეკის გამგეების) თეორიული, მეთოდური და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და პროფესიული სრულქმნისაკენ მიმართულ ღონისძიებათა განხორციელება.

### II. მუშაობის შინაარსი და საშუალებანი.

სახალხო განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული სრულქმნისათვის საქართველოს ყველა რაიონში და ქალაქში ინსტიტუტი აწარმოებს შემდეგი სახის მუშაობას:

1. აწყობს დაუსწრებელ და სტაციონალურ მოკლევადიან და გრძელვადიან კურსებს (არა უმეტეს ერთწლიანისა)

ა) დაწყებითი სკოლის მასწავლებლებისათვის.

ბ) „ „ გამგეებისათვის,

გ) საშუალო და ა/სრ. საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის სპეციალობათა მიხედვით.

დ) რაიონის განათლების განყოფილების გამგეებისათვის,

ე) „ „ „ ინსპექტორებისათვის

ვ) ფიზკულტურის მასწავლებელთათვის,

ზ) საბავშვო ბაღების და სახლების მასწავლებლებსა და ბაგებისათვის.

თ) პიონერ ხელმძღვანელებისათვის.

ი) სასკოლო ბიბლიოთეკის გამგეებისათვის.

2. აწყობს მასწავლებელთათვის ლექციებს მეთოდურსა და აკადემიურ საკითხებზე.

3) აწყობს რადიოლექციებს მეთოდურსა და აკადემიურ საკითხებზე.

4. აწარმოებს წერილობითსა და ზეპირსიტყვიერ კონსულტაციას მეთოდურ საკითხებზე სპეციალობათა მიხედვით.

5. რაიონის პედკაბინეტების ნეშვეობით შეისწავლის და აზოგადოებს სასკოლო მუშაობის სხვადასხვა საბუთებს (წერით ნამუშევრებს, წარმატების აღრიცხვის შედეგებს და სხვა).

6. ადგენს საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიას.

7. აწყობს რაიონებში საბაზო ბიბლიოთეკებს და ხელმძღვანელობს მათ.

8. ხელს უწყობს და კონკრეტულ დახმარებას უწევს პედკაბინეტებს ორგანიზაციულ მუშაობაში (მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება კი ინსტიტუტის საქმეა).

9. ჰქმნის კურსებისათვის საჭირო მეთოდურ დოკუმენტებს.

10. გან. სახ. კომისარიატის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით ამუშავებს და სცემს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო მეთოდურ ლიტერატურას: პროგრამებს, ბროშურებს, კრებულებს, მეთოდიკებს და სხვა.

11. აწყობს პედაგოგიურ მინიმუმის ჩაბარებისათვის მოსამზადებელ კურსებს.

12. განათლების კომისარიატის დირექტივების მიხედვით აწარმოებს მოკლევადიანი კურსების საშუალებით კადრების მომზადებას: საბავშვო ბაღის მასწავლებლების, სასკოლო ბიბლიოთეკის გამგეების და სხვათა.

## III. სტრუქტურა.

1. საქართველოს სახ. გან. კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტს ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქებში აქვს ფილიალები:

ა) აჭარაში,

ბ) აფხაზეთში,

გ) სამხრეთ-ოსეთში და ქალ. ქუთაისში.

2. თითოეულ რაიონში ინსტიტუტს აქვს რაიონული ბაზა.

3. სამეცნიერო მუშაკებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებისათვის ინსტიტუტთან არსებობს ცენტრალური ბიბლიოთეკა და შემდეგი სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტები:

1. პედაგოგიკის,
2. ენისა და ლიტერატურის,
3. ისტორიის,
4. მათემატიკის,
5. გეოგრაფიის,
6. ბიოლოგიის და მინერალოგიის,
7. ქიმიის,
8. ფიზკულტურის,
9. სკოლის გარეშე მუშაობის,
10. სკოლამდე აღზრდის,
11. ნაც. უმცირესობათა სკოლებისა და
12. ფიზიკისა.

**4.** სამეცნიერო-მეთოდური მიმართულებით ინსტიტუტის დირექტივების შესრულების, შემოწმებისა და ადგილებზე მომუშავეთა დასახმარებლად ინსტიტუტში არსებობს ინსტრუქტორ-მეთოდისტების შტატი.

5. სამეცნიერო მეთოდური მუშაობის წარმოებისათვის ინსტიტუტს ყავს პროფესორებსა და გამოცდილ მასწავლებელთაგან შედგენილი აქტივი.

6. მე-5 მუხლში მოხსენებული მიზანი და საჩვენებელი გაკვეთილების მოწყობისათვის ინსტიტუტთან არსებობს ნაბაზო საშუალო სკოლა.

7. მმართველობისა და აღრიცხვიანობისათვის ინსტიტუტს აქვს საკუთარი:

1. კანცელარია,
2. ბუხჰალტერია,
3. სამნეო ნაწილი.

8. თავისი მუშაობის მატერიალური ბაზით უზრუნველსაყოფად ინსტიტუტს აქვს შენობა მოწყობილი აუდიტორიებით, კაბინეტებით, ბიბლიოთეკით, სამკითხველოთი და საერთო საცხოვრებლით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## IV. სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტები.

კაბინეტები წარმოადგენენ ინსტიტუტის ძირითად სამუშაო ორგანოს.

კაბინეტის მუშაობის ფუნქციაში შედის:

1. კაბინეტის სპეციალობის მიხედვით მასწავლებელთა სრულქმნისათვის საჭირო ღონისძიებათა შემუშავება (ისტორიის კაბინეტი—ისტორიის მასწავლებელთათვის, მათემატიკისა — მათემატიკის მასწავლებელთათვის და ა. შ.).

2. კვალიფიკაციის ამაღლების ყველა ღონისძიების (კურსების, კონფერენციების, და სხვა) უზრუნველყოფა სასწავლო გეგმით, პროგრამებით და სხვა მეთოდური დოკუმენტაციით.

3. მეცნიერული და მეთოდური ლიტერატურისა და თვალსაჩინო საშუალებათა შერჩევა და მომარაგება (კაბინეტის სპეციალობის მიხედვით).

4. მოხსენებების და ლექციების მოწყობა მეთოდურსა და მეცნიერულ საკითხებზე.

5. სიტყვიერი და წერილობითი კონსულტაციის მოწყობა.

6. მეთოდური დოკუმენტაციის დაგროვება და სისტემატური შესწავლა.

7. კურსებისა და კონფერენციების მომსახურეობა ლექტორთა შემადგენლობით და თვალსაჩინო ნივთებით.

8. კაბინეტის მთელი მუშაობის უზრუნველყოფა ლექტორთა და კორესპოდენტთა სწორად შერჩეული აქტივით.

## V. მმართველობა და თანამდებობის პირთა მოვალეობანი.

1. ინსტიტუტის შტატში ძირითადად შემდეგი თანამდებობანი შედის:

1. დირექტორი,
2. სასწავლო-ნაწ. გამგე (იგივე დირექტორის მოადგილე),
3. საადმინისტრაციო-სამეურნეო ნაწ. გამგე,
4. სასწავლო ნაწილის მდივანი,
5. კაბინეტების გამგეები,
6. ბიბლიოთეკის გამგე,

7. ინსტრუქტორები,
8. მ ნ ე,
9. კომენდანტი,
10. საერთო საცხოვრებლის გამგე,
11. ბუხჰალტერი და მისი თანაშემწე,
12. საქმეთა მმართველი,
13. მემანქანე,
14. სტატისტიკოსი,
15. ტექნიკური პერსონალი და,
16. გამომცემელი,

2. ინსტიტუტის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს რესპ. განათლების სახალხო კომისარი.

დირექტორის მოვალეობას შეადგენს:

ა) ინსტიტუტის მთელი მუშაობის ხელმძღვანელობა;

ბ) ინსტიტუტის მუშაობის გეგმის შედგენა, კაბინეტების სამუშაო გეგმის დამტკიცება.

გ) ფილიალის და სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტების გამგეების კანდიდატურის გან. სახ. კომისარიატში წარდგენა დასამტკიცებლად;

დ) თანამშრომლების დანიშვნა და მოხსნა შრომის არსებული კანონების დაცვით.

ე) ინსტიტუტის სახელით წარმომადგენლობა და სხვა დაწესებულებებთან ურთიერთობა.

ვ) ინსტიტუტის თანხების შემოსავალ-გასავლის წესიერ წარმოებაზე ზედამხედველობა;

ზ) დაწესებულებებსა და კერძო პირებთან ხელშეკრულებათა დადება (პირადად ან რწმუნებულის მეშვეობით);

თ) ინსტიტუტის კრედიტების, ფონდების, სახსრების, ანგარიშების და ქონების შესახებ განკარგულებათა გაცემა;

ი) სასწავლო ნაწილის გამგე ინიშნება განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით დირექტორის წარდგენით.

სასწავლო ნაწილის გამგის მოვალეობას შეადგენს:

ა) განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ყველა ღონისძიების ჩატარებაზე თვალყურის დევნება და კონტროლი;

ბ) ინსტიტუტის სასწავლო მუშაობის გეგმის შედგენა და მის შესრულებაზე კონტროლი;

გ) მეთოდური დოკუმენტების წესიერ დამუშავებასა და გამოცემაზე ზრუნვა;

ე) სახ. განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მთელი ქსელის მუშაობის ხელმძღვანელობა;

4. საადმინისტრაციო-სამეურნეო ნაწილის მოვალეობას შეადგენს: ფინგეგმის შედგენა და შესრულება, ხარჯთაღრიცხვის შედგენაზე ღონისძიებათა ჩატარება, ინსტიტუტის ყველა რესპუბლიკურ ღონისძიებათა სამეურნეო მომსახურეობა, საერთო საცხოვრებლისა და კვების მოწყობა, ინსტიტუტის შენობების მოვლა.

5. კაბინეტის გამგის მოვალეობას შეადგენს.

ა) კაბინეტის სპეციალობის მიხედვით გან. მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა სისტემის შემუშავება;

ბ) ამ სისტემის საორგანიზაციო და სასწავლო-მეთოდური საკითხების მოგვარება;

გ) დაწყ. საშ. და ა/სრ. საშუალო სკოლის მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა კურსების უზრუნველყოფა სასწავლო გეგმით, ინსტრუქციებით, ზეპირსიტყვიერი და წერილობითი კონსულტაციით და ცოცხალი ხელმძღვანელობით, როგორც ქ. ტფილისში ისე რაიონში;

დ) აქტივის შერჩევა და დასამტკიცებლად წარდგენა;

ე) აქტივის საშუალებით კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო სხვადასხვა მეთოდური დოკუმენტების შექმნა (მეთოდური წერილები, პროგრამები და სხვა).

ვ) აქტივის მუშაობის ხელმძღვანელობა.

ზ) თავმჯდომარეობა კაბინეტის აქტივის თათბირზე სხვადასხვა მეთოდურ საკითხებზე;

თ) მასწავლებელთა კადრების შესწავლაზე მუშაობის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა, (სპეციალობის მიხედვით).

ი) ლიტერატურის სარეკომენდაციო სიების მიწოდება და მასწავლებელთა კითხვის ორგანიზაცია, ცენტრალურსა და საბაზო ბიბლიოთეკების საშუალებით.

კ) რაიონული საბაზო ბიბლიოთეკისა და კაბინეტის მუშაობის ხელმძვანელობა და კონტროლი.

ლ) სპეციალობის მიხედვით ლექციების და კონფერენციების მოწყობა და ხელმძღვანელობა.

6. სასწავლო ნაწილის მდივანი ინიშნება დირექტორის მიერ და მის მოვალეობას შეადგენს:

ა) მეთოდურსა და აკადემიურ საკითხებზე ყველა თათბირის ოქმის წარმოება.

ბ) სხვადასხვა კურსების მსმენელთა აკადემიური წარმატების შესახებ ცნობათა მოწესრიგება და გასაცემად მოწმობის გამზადება.

გ) მეთოდური დოკუმენტების შექმნის საკითხში კაბინეტების გამგეებთან კონტაქტის დამყარება და დოკუმენტების დროულ შესრულებაზე თვალყურის დევნება.

7. ინსტრუქტორები მუშაობენ სასწავლო ნაწილის გამგის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ და ასრულებენ სასწავლო მეთოდური და საორგანიზაციო მუშაობის ხასიათის დავალებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VI. უფლებები.

1. ინსტიტუტი სარგებლობს იურიდიული პირის ყველა უფლებით.

2. მისი დირექცია, პროფესორები, დოცენტები და მეცნიერული მუშაკები სარგებლობენ უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა ყველა უფლებით.

3. ინსტიტუტს აქვს უფლება იქონიოს სასკოლო მნიშვნელობის პროდუქციის დასამზადებლად საკუთარი წარმოება.

4. აქვს საკუთარი შტამპი და ბეჭედი სახელმწიფო ღერბით და წარწერით.. „საქ. განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი“.

# ბრძანება № 563

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1938წ. „4“ თებერვალს

### წ. კ. უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის შესახებ

გავეცანი რა მოზრდილთა განათლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილ გამოკვლევის მასალებს — ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ქვემო-სვანეთის, თელავის და ყვარელის რაიონების წ/კ. უცოდინარობის და მც. მცოდნეობის ლიკვიდაციის მიმდინარეობას ა ვ ღ ნ ი შ ნ ა ვ:

1. განათლების განყოფილებათა სუსტი მუშაობის შედეგად ჯერ კიდევ დაზუსტებული არაა წ/კითხვის უცოდ. და მცირე მც. კონტიგენტი.

ა) ქვემო-სვანეთის განათლების განყოფილებამ მიმდინარე სასწავლო წელს ჩააბა წ/კითხვის უცოდინართა სწავლებაში ისეთი მსმენელები, რომელთაც ეს სკოლა გასულ წელს დაუმთავრებიათ (მუსელიანი საშა, მუსელიანი სასო, ლიპარტელიანი ინდო და სხვ. სოფ. გვიმბრალა, რცხუმელურის სასოფლო საბჭო). ამავე რაიონმა ვერ უზრუნველყო სწავლებაში ჩაბმა წ/კითხვის უცოდინართა იმ კონტიგენტისა, რომელიც მათ ყავთ აღრიცხული.

ბ). ამბროლაურის რაიონის გან. განყოფილებაში არსებული ცნობებით ყველა სასოფლო საბჭოში წ/კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნეები აღრიცხულია და ჩაბმულია სწავლებაში, მაგრამ შემოწმებამ დაადასტურა, რომ არსებული ცნობების სინამდვილეს არ შეიცავს, მაგ. სხვავის სასოფლო საბჭოში ექვსი სკოლიდან 14 იანვრისათვის არცერთი არ მუშაობდა, მსგავსი მდგომარეობაა ონის, ცაგერის, თელავის და ყვარელის რაიონებში.

თელავის რაიონის მატანის სას. საბჭოში 542 უცოდინარიდან ჩაბმულია სწავლებაში 252, ხოლო 666 მცირემცოდნიდან ჩაბმულია სწავლებაში 156 კაცი. ჩაუბმელობას გან. განყოფილება ბინის უქონლობით ხსნის.

2. ზოგიერთი გან. განყოფილების გამგეები (ონი, ამბროლაური, ცაგერი, ქვემოსვანეთი, ყვარელი, თელავი,) არ მუშაობენ წ/კითხვის უცოდინარობის კონკრეტულ საკითხებზე, რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე დროულად არ სვამენ საკითხებს წერა-კითხვის უც. და მც. მც. ლიკვიდაციის მიმდინარეობის, შესახებ და ამ უბანზე არსებული დეფექტების გამოსასწორებლად.

3. ონის რაიონის განათლების განყოფილების აპარატის ძირითადი კადრი შეთავსებით სხვა სამუშაოებით არის დატვირთული — მაგ. განყოფილების გამგე ამხ. სიმონ კეკელიძე შეთავსებით მუშაობს პედსასწავლებლის დირექტორად და მეტეოროლოგიურ სადგურის უფროსად, — სასკოლო ინსპექტორი ამხ. ალ. ბურდილაძე შეთავსებით მუშაობს ონის სრულ საშუალო სკოლის დირექტორად. განსახკომის ბრძანების გარეშე მასვე აქვს გაკვეთილები ამავე სკოლაში, რის გამო აღნიშნულ ამხანაგებს არ რჩებათ დრო იმუშაონ პირდაპირ დანიშნულებით. განათლების განყოფილებებმა ვერ უზრუნველყვეს ლიკ-სკოლები სამეცადინო ბინით, გათბობა განათებით და სასწავლო ნივთებით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ვბრძანებ.

1. წინადადებას ვაძლევ ყველა განათლების განყოფილების გამგეებს, აჭარის და აფხაზეთის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის გან. განყოფილების გამგეს ა/წ. 15 თებერვლამდე დააზუსტონ აღრიცხვა და ჩააბან სწავლებაში ყველა, წ/კითხვის უცოდინარი და მც. მცოდნეები და უზრუნველყონ ისინი სათანადო ბინით, განათლებით და სასწავლო ნივთებით.

2. ვავალებ მათვე კონკრეტული დახმარება და მეთოდური ხელმძღვანელობა გაუწიონ ლიკ.სკოლების მასწავლებლებს—იბრძოლონ მსმენელთა მეცადინეობაზე 100% დასწრებისათვის და არ დაუშვან შემთხვევებ-

პროგრამის დაძლევის ათვისების და ცოდნის შემოწმების გარეშე-ლიკსკოლებში გაერთიანებულ მსმენელთა გამოშვება.

3. ვავალებ მათვე ლიკსკოლების მუშაობის პროცესში არსებულ დეფექტებზე დასვან საკითხი ადგილობრივ რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოების წინაშე და მიიღონ სათანადო ამომწურავი ღონისძიებანი.

4. წინადადებას ვაძლევ მათ, რომ აღკვეთონ ლიკსკოლების მასწავლებელთა ხელფასის დავალიანება—ვაფრთხილებ გან. განყოფილების გამგეებს ხელფასის დავალიანების შემთხვევის გამეორებაზე მიღებული იქნეს ადმინისტრატიული ზომები.

5. წ/კ. უც. და მც. მც. ლიკვიდაციის ორგანიზაციის საქმეში უდარდელობის გამოჩენისათვის საყვედური გამოეცხადოს ქ/სვანეთის გან. განყოფილების გამგე ამხ. ტვილდიანს, ონის გან. განყოფილების გამგეს ამხ. სიმონ კეკელიძეს, ყვარელის რაიგანყოფილების გამგეს ამხ. მაზანაშვილს და ცაგერის გან. განყოფილების გამგეს ამხ. აკაკი ფრუიძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ვავალებ განგანყოფილების გამგეებს, აჭარის და აფხაზეთის ასსრ განსახკომებს და სამხრ-ოსეთის ავტ. ოლქის გან. განყოფ. გამგეს თვეში ორჯერ წარმოადგინონ განსახკომის მოზრდილთა განათლების სამმართველოში წერილობითი მოხსენებები წ/კ. უც. და მც. მც. ლიკვიდაციის მიმდინარეობაზე.

7. მოზრდილთა განათლების სამმართველოს უფროსმა სისტემატურად მომახსენოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა.

8. აღნიშნული ბრძანება დაეგზავნოს ყველა გან. განყოფილების გამგეებს, აჭარის და აფხაზეთის ასსრ განსახკომებს და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის გან. განყოფილებას.

**განათლების სახ. კომისრის მოადგილე**

**დ. ჯიფშიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 414

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1938 წლის 29 იანვარს**

## საბიუჯეტო-საფინანსო გეგმების დამუშავების შესახებ.

1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივ ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების ქსელის, კონტიგენტის, ნორმების და დაფინანსების გეგმის სათანადო სიზუსტით დამუშავებისა და სადირექტივო ორგანოებში დროულად წარდგენის უზრუნველსაყოფად **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს განათლების სახ. კომისარიატისაგან დაშვებული ფორმებისა და ინსტრუქციების საფუძველზე სახბიუჯეტზე მყოფ ქვემდებარე დაწესებულებათა და რაიაღმასკომების განათლების განყოფილებათაგან წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების და ბიუჯეტის პროექტების განხილვის თანდართული კალენდარული გეგმები.

2. დაწესდეს რომ ქვემდებარე დაწესებულებებისა და განათლების განყოფილებათა მიერ წარმოდგენილი ქსელის, კონტიგენტის ნორმების და ბიუჯეტის პროექტები წინასწარ იხილება საგეგმო-საფინანსო განყოფილების საგეგმო და საბიუჯეტო ჯგუფის და სათანადო სამმართველო-განყოფილებათა მიერ.

ვავალებ საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსს ამხ. პ. კობახიძეს ქვემდებარე დაწესებულებებისა და რაიაღმასკომების განათლების განყოფილებათა მიერ ადგილობრივ ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების პროექტების წინასწარ განხილვის შემდეგ, საბოლოოდ განიხილოს აღნიშნული დარგების მიხედვით სათანადო სამმართველო-განყოფილებათა უფროსების (გამგეების) ან მათი მოადგილეების მონაწილეობით და წარმომიდგინოს დასამტკიცებლად ქსელის, კონტიგენტის, ნორმების და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ოქმებთან ერთად.

3. ვავალებ სამმართველო-განყოფილებათა უფროსებს (გამგეებს) ქვემდებარე დაწესებულებებისა და განათლების განყოფილებათა გამგეების მიერ წარმოდგენილ ქსელის, კონტიგენტის, ნორმების და ბიუჯეტის პროექტების განხილვაში მიიღონ უშუალო მონაწილეობა, ან მათ არ ყოფნის შემთხვევაში უზრუნველყონ თავიანთი მოადგილეების დასწრება.

4. ვავალებ საგეგმო-საფინანსო განყოფილებას სახბიუჯეტზე მყოფ ქვემდებარე დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვების და პროექტების განხილვამდე მისცეს თითოეულ სამმართველო-განყოფილებას ჩემთან შეთანხმებით აღნიშნულ დაწესებულებების შტატების, ხელფასის ფონდის, სხვა დანარჩენ ხარჯებისა და ღონისძიებისათვის გათვალისწინებული თანხების ლიმიტები.

ვავალებ სამმართველო-განყოფილებების უფროსებს (გამგეებს) საგეგმო-საფინანსო განყოფილებაში ხარჯთაღრიცხვების პროექტების საბოლოო განხილვამდე იქონიონ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში თავიანთი პროექტები თვითეულ ობიექტებზე.

5. სამმართველო-განყოფილებებმა ჩემთან შეთანხმებით მიცემულ ლიმიტების საფუძველზე 15 თებერვლისათვის წარუდგინონ საგეგმო-საფინანსო განყოფილებას თითოეული ღონისძიების ხარჯთაღრიცხვები სათანადო ახსნა-განმარტებებით.

ვავალებ საგეგმო-საფინანსო განყოფილებას, დაამუშაოს ფორმები სამმართველო-განყოფილებების მიერ ღონისძიებათა ხარჯთაღრიცხვების პროექტების წარმოსადგენად და ჩემს მიერ ამ ფორმების დამტკიცების შემდეგ მისცეს თითოეულ სამმართველო-განყოფილებას.

ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვების წარდგენა ფინანსთა სახალხო კომისარიატში მოხდეს ამ ხარჯთაღრიცხვების ჩემს მიერ განხილვის და დამტკიცების შემდეგ.

6. ვავალებ საქმეთა მმართველობას ჩემთან შეთანხმებით მიღებულ ლიმიტის საფუძველზე შეადგინოს 1938 წლისათვის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა და სათანადო ახსნა-განმარტებით წარუდგინოს საგეგმო-საფინანსო განყოფილებას, არა უგვიანეს 5 დღისა ლიმიტის მიღებიდან.

ვავალებ საგეგმო-საფინანსო განყოფილებას 1-ლ თებერვლამდე წარმომიდგინოს დასამტკიცებლად და რესპუბლიკურ საშტატო კომისიაში წარსადგენად ცენტრალური აპარატის შტატების პროექტი სამმართველო-განყოფილებათა მიხედვით.

7. ვავალებ ხელმძღვანელ კადრების ინსპექტორს ამხ. ვ. ქობულიას საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროს ამხ. კობახიძესთან ერთად შეათანხმონ აფხაზეთის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატების, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის საოლქო და ყველა რაიგანათლების განყოფილებათა შტატების პროექტი საქ. სსრ ფინსახკომის მიერ განსაზღვრულ საშტატო კონტიგენტის ფარგლებში და წარმომიდგინონ დასამტკიცებლად არაუგვიანეს ა/წ. 15 თებერვლისა.

8. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ქვემდებარე დაწესებულებათა ქსელის, კონტიგენტის ნორმების და ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების განხილვა და მისი საბოლოოდ დამტკიცება მოხდეს უშუალოდ განათლების განყოფილებათა გამგეების მონაწილეობით.

ვავალებ საგეგმო-საფინანსო განყოფილებას ცალკეულ რაიონების მიხედვით სამმართველო-განყოფილებების უფროსების (გამგეების) ან მათი მოადგილეების, განათლების განყოფილებათა გამგეების მონაწილეობით განხილულ და ჩემს მიერ დამტკიცებულ ქსელის, კონტიგენტის, ნორმების და ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების საფუძველზე შეადგინოს რესპუბლიკის შენაკრები [illegible] პარაგრაფების და მუხლების მიხედვით და ჩემს მიერ საბოლოო განხილვის შემდეგ წარუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს საგეგმო-კომისიას და ფინანსთა სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად.

9. ვავალებ საგეგმო-საფინანსო განყოფილებას უზრუნველყოს წინასწარ მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება სადირექტივო ორგანოების მიერ სახბიუჯეტზე მყოფ ქვემდებარე დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებისა და ადგილობრივ ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების დამტკიცებისთანავე ადგილებისათვის დასაშვებად (ფორმების შედგენა, დაბეჭდვა, ინსტრუქცია და სხვა).

10. ვავალებ საგეგმო-საფინანსო განყოფილებას ქვემდებარე დაწესებულების ხარჯთაღრიცხვები და ადგილობრივ ბიუჯეტის საკონტროლო ციფრები დაიყვანოს ადგილებამდე არა უგვიანეს 10 დღისა სადირექტივო ორგანოების მიერ მის დამტკიცების შემდეგ.

11. ვავალებ საქმეთა მმართველობას შეუქმნას ქვემდებარე დაწესებულებათა და განათლების განყოფილებათა გამგეებს და საანგარიშო დარგის მუშაკებს სამუშაო პირობები და უზრუნველყოს ქსელის, კონტიგენტის, ნორმების და ბიუჯეტის პროექტების შეუფერხებელი ბეჭდვა და გამრავლება.

12. ვავალებ საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსს ამხ.პ. კობახიძეს წარმოადგინოს დასამტკიცებლად სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტების პროექტების დამუშავებასთან დაკავშირებით გასაწევ ხარჯების ხარჯთაღრიცხვა და აღნიშნული გაითვალისწინოს 1938 წლის ბიუჯეტის პროექტში.

13. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ქსელის, კონტინგენტის, ნორმების და ბიუჯეტის პროექტების დამუშავება დამთავრდეს არაუგვიანეს ა/წ. 11/III სა.

**განათლების სახ. კომისრის**

**მოადგილე დავ. ყიფშიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 439

## განათლების სახ. კომისარიატისადმი

**1938 წლის 25 თებერვალს**

## მოზრდილთა ა/ს საშუალო და საშუალო სკოლებში 1937-38 სასწ. წლის პირველ ნახევარში ჩატარებული მუშაობის შედეგებზე.

რესპუბლიკაში არსებულ 180 სასკოლო ერთეულიდან 1-2 მეოთხედში ჩატარებული მუშაობის შედეგებიდან, აგრეთვე ამავე სკოლების გამოკვლევის მასალებიდან ჩანს, რომ მოზრდილთა ა/ს. საშუალო და საშუალო სკოლებში გასულ წელთან შედარებით გაშლილია უფრო გეგმიანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, რის შედეგად სკოლებში ძირითადად განმტკიცებულია შეგნებული დისციპლინა, გაუმჯობესდა მასწავლებელ-მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების საკითხი. მოგვარებულია დილის სკოლებთან არსებული კაბინეტების გამოყენების საკითხი, სკოლებში ძირითადად დაძლეულია 1და2 მეოთხედისათვის განკუთვნილი მასალა, ამ მიმართულებით კარგ მაჩვენებლებს იძლევიან რიგი სკოლებისა (ტფილისის მ-7, ცხაკაიას სკ. და სხვ.).

მიუხედავად ამისა, რიგ სკოლებში მაინც აქვს ადგილი დეფექტებს, როგორიცაა:

I. პირველი და მეორე მეოთხედისათვის განკუთვნილი საპროგრამო მასალა დაუძლეველია:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში: თბ. 10, 12, გორის, წინანდალის, თიანეთის, ველისციხის, ხაშურის, აბასთუმნის, ტყიბულის და სხვ.

2. მათემატიკაში: ტფილისის 4, 9, 15, ქუთაისის 7, ტყიბულის, შილდას, ლაგოდეხის, ახალქალაქის, გეგეჭკორის, თიანეთის, ველისციხის, ხაშურის, შაშიანის, ბაღდადის და სხვ. სკოლებში. ძალზე ჩამორჩენაა გორის მოზრდილთა საშუალო სკოლაშიც.

3. ფიზიკაში — თბილისის 9, ბაღდადის, გორის, ახალქალაქის და სხვ.

4. ქიმიაში—თბილისის 6, შილდას, გორის, თიანეთის, ხაშურის და სხვ. სკ.

5. ისტორიაში—თბილისის 2,3,6, წინანდალის, გორის, შაშიანის გეგეჭკორის, მარნის. ველისციხის, ლაგოდეხის, ბანძის, ცაგერის და სხვ. სკ..

6. გეოგრაფიაში — თბილისის 6, ორსანტიის, გორის, ველისციხის, ბორითის და სხვ.

7. ბიოლოგიაში — თბილისის, 15, ორსანტიის, გორის, ქუთაისის 7, ველისციხის და სხვ.

8. უცხო ენაში — თბილისის 2 სკ., 6, 13, აბაშის, გორის და სხვ.

9. რუსულ ენაში—თბილისის 6, ლაგოდეხის, მანგლისის, ხაშურის, მარნის და სხვ. სკ..

II. მეორე მეოთხედის განმავლობაში ზოგიერთ საგანში განათლების განყოფილებებმა ვერ უზრუნველყვეს სკოლები მასწავლებლებით (შაშიანი ისტორიის მასწ. ბორითის — გეოგრაფიის მასწ., გეგეჭკორის — მათემ. მასწ., ველისციხის საერთოდ სათანადო კადრით; ბანძის — ისტორ. მასწ. ცაგერის — ისტორ. მასწ. ტყიბულის ქართ. ენის მასწ., ლაგოდეხის—ისტორიის და რუს. ენის მასწ. და სხვ.).

III. რიგ სკოლებში სუსტადაა გაშლილი აღმზრდელობითი მუშაობა და სოც-შეჯიბრება, რის შედეგად ადგილი აქვს:

1. მოსწავლეთა განთესვას (თბილისის 6, 9, 17, გურჯაანის, ველისციხის, ახალქალაქის, ტყიბულის, ცაგერის, გორის, ბანძის, სამტრედიის, ცხაკაიას და სხვ. სკ.).

2. მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენას (თბილისის 1, 2, 3, 6, 9, 17, სუფსის, ქუთაისის 27 სკ., ქუთაისის 6, ბორითის, წინანდალის, აბაშის, ტყიბულის, სადაც გაცდენილია 3858 საათი და სხვ. სკ.).

3. მოსწავლეთა ხულიგნურ საქციელს და უდისციპლინობას (თბილისის 3, 6, 9, 17, ზესტაფონის, ლოთობას — ველისციხის სკოლა), აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ნაცვლად სკოლები მიმართავენ მოსწავლეთა სკოლიდან გარიცხვას (ველისციხე, თბილისის 3, 9, მახარაძის და სხვ.).

4. ყველა ამის შედეგად რიგი სკოლებისა ვერ იძლევიან აკადემიური წარმატების საჭირო მაჩვენებლებს. აშკარაა, რომ ზოგიერთი სკოლა იძლევა კარგ მაჩვენებლებს (თბილისის 7 — 81 %, 15 — 78 %, ნიგვზიანის — 73 %, ორსანტიის 76 %, მანგლისის 75 %, ჩოხატაურის — 70 %, და სხვ.) სუსტ მაჩვენებლებს იძლევიან შემდეგი სკოლები: ბაღდათის — 43 %, ახალქალაქის — 26 %, ბორითის — 38 %, ჩხოროწყუს — 28 %, ჭიათურის — 30 %, გეგეჭკორის — 36 %, წინანდალის — 30 %, მახარაძის — 43 %, ცაიშის — 48 %, ობჩკვეთის — 30 %, ჭრებალოს — 29 %, სიღნაღის — 23 %, ზუგდიდის — 15 %, ჩხარის — 37 % (პირველ მეოთხედში — 40 %, ქუთაისის VII 30 %, ვანის — 38 %, ქუთაისის VI 44 %, ტყიბულის — 34 %, გორის — 12 %, საჩხერეს — 49 % და სხვ.)

თბილისის ზოგიერთ სკოლებში მეორე მეოთხედში ნაკლები მიღწევებია, ვიდრე პირველ მეოთხედში.

| | 1-ლი მეოთხ. | 2-რე მეოთხ. | | |
|---|---|---|---|---|
| 1. თბილ. 2 სკ. | 67% | 53% | 14% | ნაკლები |
| 2. „ 3 „ | 58% | 53% | 5% | „ |
| 3. „ 6 „ | 63% | 57% | 6% | „ |
| 4. „ 11 „ | 86% | 72% | 14% | „ |
| 5. „ 12 „ | 64% | 54% | 10% | „ |
| 6. „ 13 „ | 80% | 62% | 18% | „ |
| 7. „ 17 „ | 73% | 60% | 13% | „ |

1). ზოგ სკოლებში მოუგვარებელია მტკიცე ცხრილების გაფორმების საკითხი (ლაგოდეხი, თბილისის 1 და 6 სკ. და სხვა) არ აქვთ წერითი სამუშაოების ცხრილი (თბილისის 1 სკ., გორი, სამტრედია, ლანჩხუთი, გურჯაანი, ველისციხე), რის გამო გეგმით გათვალისწინებული წერითი სამუშაოები სკოლებში ჩატარებული არ არის, ჩატარებულის გასწორებაც კი ვერ არის სათანადოდ მოწესრიგებული.

V. რიგ სკოლებში არ არის კონტ[illegible] მუშაობა დირექტორსა და სასწ. ნაწ. გამგის შორის, რის შედეგად სკოლა[illegible]ლია სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა (თბილისის 6 სკოლა).

VI. დირექტორები და სასწ. ნაწ. გამგეები არ ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე, არ უწევენ მათ ყოველდღიურ დახმარებას.. მასწავლებლები გაკვეთილებზე შედიან წინასწარ მოუმზადებლად და უგეგმოდ (გორი, თბილისის 6, ლაგოდეხი, გურჯაანი და სხვ.).

VII. უმაღლეს სკოლებში ჟურნალების წარმოება ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ეს კი რჩება დირექტორისა და კლასის ხელმძღვანელთა ყურადღების გარეშე. უკანასკნელთა მუშაობა, როგორც კლასის ხელმძღვანელთა, უმეტეს შემთხვევაში ატარებს შემთხვევით ხასიათს.

VIII. მოსწავლეები არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით, არის შემთხვევა, როდესაც მოწაფე გაკვეთილებზე ცხადდება. უწიგნოდ (თბილისი 6, 9, ლაგოდეხის, სიღნაღის, და სხვ.). სკოლა და მისი ხელმძღვანელები არ ამახვილებენ ყურადღებას მოსწავლეთა წიგნზე მუშაობის საკითხებზე.

9. არ ექცევა ყურადღება მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ცოდნის ყოველდღიურ შემოწმებას და ლიბერალურ შეფასებას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ მეორე მეოთხედში ზოგიერთ სკოლაში უფრო დაბალია აბსოლუტური წარმატება, ვიდრე 1-ლ მეოთხედში (თბილისის 2, 3, 6, 11, 12, 13, 16, 17, ჩხარის და სხვა).

ყველა ზემოაღნიშნულის გამო **ვბრძანებ:**

1. ადგილობრივ განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით მოზრდილთა არასრულ საშუალო და საშუალო სკოლის დირექტორებმა უზრუნველჰყონ სკოლები მასწავლებელთა კვალიფიციური კადრით.

2. დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა გადასინჯონ მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი პროგრამები და გეგმები, გააძლიერონ მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრებით ოპერატიულ-მეთოდური ხელმძღვანელობა და ამ გზით უზრუნველჰყონ

თითოეული კლასისა და დისციპლინისათვის განკუთვნილი მასალის მთლიანი დაძლევა.

3. პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე პერიოდულად (მეოთხედის ბოლოს აუცილებლად) მოსმენილ იქნას კლასის ხელმძღვანელთა მოხსენებები კლასის მდგომარეობის შესახებ და მასწავლებელთა ინფორმაციები პროგრამის დაძლევაზე და საჭიროების მიხედვით დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის უკეთ გაშლისათვის. დირექტორმა და სასწავლო ნაწილის გამგემ უზრუნველყონ დასახულ ღონისძიებათა გატარების ყოველდღიური შემოწმება.

4. მოსწავლეთა ორგანიზაციების ფართოდ გამოყენებით გაიშალოს სოცშეჯიბრება სკოლებსა და კლასებს შორის, აგრეთვე თითოეულ კლასის მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის კონკრეტულ ვალდებულებათა ჩამოყალიბებით. ვალდებულებაში ძირითადად უნდა იყოს გათვალისწინებული მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლება და სკოლაში უაღრესად შეგნებული დისციპლინის დამყარება.

ამ ვალდებულებათა საფუძველზე აღმოფხვრილ იქნას მასწავლებელ-მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენა, დაგვიანება და სხვ.

5. დირექტორმა და სასწავლო ნაწილის გამგემ პირადი მუშაობით მაგალითის მიცემით უზრუნველყონ სკოლის გეგმიანი მუშაობა: ყველა მომუშავის დროულად გამოცხადება, სათანადოდ და ლამაზად შედგენილი ცხრილის (გაკვეთილების და წერითი სამუშაოების) თვალსაჩინო ადგილებზე ჩამოკიდება, მასწავლებელთა მიერ გაკვეთილის მოკლე გეგმის წინასწარ შედგენა; კლასის ხელმძღვანელ მასწავლებელთა მორიგეობის მტკიცედ გატარება, ყოველი გაკვეთილის წინასწარ უზრუნველყოფა ყველა საჭირო ნივთით (რუკები, ჩვარი, ცარცი, და სხ[illegible] საჩინოების დაცვის მიზნით კაბინეტის მაქსიმალურად გამოყენება, ჟურნალის წესიერი წარმოება და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დირექტორებმა გადაათვალიერონ მოსწავლეთა პირადი საქმე და მოაწესრიგონ მასწავლებელთა სათანადო თანრიგში მოქცევა და ამ გზით უზრუნველყონ ხელფასის მართებული გამოწერა.

7. სკოლაში ყოველდღიურად , თავის დროზე გამოუცხადებლობისა და არა ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს საყვედური თბილისის 1-ლ მოზრდილთა საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. გურგენიძეს.

8. თბილისი მე-6 მოზრ. საშუალო სკოლაში მუშაობის ჩაშლისათვის თანამდებობიდან მოხსნილ დირექტორის, გ. რუხაძის, სასწ. ნაწილის გამგის სიმონგულიანის და მელაძის საკითხი დამუშავდეს ყველა სკოლაში.

9. ვავალებ დირექტორებს, მათი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, ყურადღებით და გულდასმით გადაიკითხონ განსახკომის განკარგულებები და საჭიროების მიხედვით აგზავნონ მოზრდილთა განათლების სამმართველოში სათანადოდ შედგენილი პასუხი.

10. მოზრდილთა განათლების სამმართველომ სკოლებთან ცოცხალი კავშირის გაძლიერებით, მეთოდწერილების დამუშავებით და საჭირო დახმარების გაწევით უზრუნველყოს საპროგრამო მასალის დაძლევა.

**განათლ. სახ. კომისრის**

**მოადგილე დ. ყიფშიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ა/ს საშ. და საშუალო სკოლის 1937-38 სასწ. წლის მათემატიკის პროგრამის შესწორებანი.

არითმეტიკის მასალა მე-6 კლასიდან მთლიანად გადმოტანილია მე-5 კლასში. მე-5 კლასში მთავრდება არითმეტიკის სრული კურსი.

ამ კლასში არითმეტიკას ეთმობა ექვსდღიურში-6 გაკვეთილი (შვიდდღიურში 7-გაკ.)

მიმდინარე წელს მე-6 კლასში არითმეტიკა რჩება და კლასი გაივლის იმ მასალას, რა მასალაც დარჩენილია გასული წლის პროგრამის მიხედვით. ამრიგად მე-6 კლასი წელს რჩება იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც უნდა ყოფილიყო გასული წლის სასწავლო გეგმისა და პროგრამის მიხედვით.

### გეომეტრია

გეომეტრიის კურსი—(განგუსის სახელმძღვანელო მე-5 კლასისათვის) მე-5 კლასიდან ამოღებულია მთლიანად: არითმეტიკულ მასალასთან დაკავშირებით, ამოცანების ამოხსნის პროცესში, გავაცნობთ მხოლოდ შემდეგ საკითხებს:

1. წრეხაზის სიგრძის გამოანგარიშება;
2. კვადრატის, მართკუთხედის, სამკუთხედის, წრის (დაუმტკიცებლად) ფართობის გამოანგარიშება;
3. კუბის, პრიზმის და მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობის გამოანგარიშება.

მე-6 კლასში შევისწავლით გეომეტრიის სისტემატურ კურსს გასული წლის პროგრამით. მაშასადამე, მე-6 კლასის გეომეტრიის პროგრამაში ცვლილება არ არის.

მე-7 კლასის გეომეტრიის პროგრამაში ცვლილება არ არის.

მე-8 კლასში გადმოტანილია მე-9 კლასიდან პროგრამის შემდეგი თავი მთლიანად: „ჩახაზული და შემოხაზული მრავალკუთხედები; წესიერი მრავალკუთხედები“.

მე-9 კლასის პროგრამა იწყება თავით: „ზღვარის ცნება, წრე ხაზის სიგრძე და წრის ფართობი“.

დანარჩენი უცვლელია.

მე-10 კლასის პროგრამა გეომეტრიაში უცვლელია.

### ტრიგონომეტრია.

მე-8 კლასის კურსიდან ტრიგონომეტრიი ამოღებულია მთლიანად. მე-9 კლასში ტრიგონომეტრიის პროგრამა უცვლელია.

მე-10 კლასში ვიწყებთ მე-8 კლასის კურსიდან ამოღებულ საკითხიდან: ტრიგონომეტრიული სიდიდეების ნატურალურ მნიშვნელობათა ცხრილები და მათი გამოყენება.

დანარჩენი პროგრამა უცვლელია.

### ალგებრა

მე-6 კლასის პროგრამა უცვლელია.

მე-7 კლასის პროგრამაში შემდეგი ცვლილებაა: თავი 3. იგივობანი და განტოლებანი (გვ. 19) დარჩება შემდეგი რედაქციით: „ტოლობა, იგივობა, განტოლება“.

აბზაციდან პირველ სტრიქონში (გვ. 13) ამოიშლება იგივობა და განტოლება და ჩაიწერება: „ტოლობა და მისი თვისებანი. გეომეტრიული პროპორცია. გეომ. პროპ. წევრთა თვისება, გეომ. პროპორციის ამოხსნა. წარმოებული პროპორციები, „იგივობა და გან-

ტოლება“. დანარჩენში პროგრამა უცვლელია.

მე-8 კლასის პროგრამა უცვლელია.

მე-9 კლასის პროგრამაში გვ. 18-ის უკანასკნელი სტრიქონის სიტყვების „პროგრესიის წევრის ჯამი“-ს შემდეგ ჩაიწერება:

„უსასრულოდ კლებადი გეომეტრიული პროგრესია და მის წევრთა ჯამის ზღვარი“.

დანარჩენი პროგრამა უცვლელია.

მე-10 კლასში სიტყვების შემდეგ... „მოქმედებანი კომპლექსურ რიცხვებზე“ (გვ. 23, პ. მე-2), ჩაიწერება: კომპლექსური რიცხვების გეომეტრიული წარმოდგენა“.

დანარჩენში პროგრამა უცვლელია.

პროგრამაში შეტანილი ცვლილებათა შესაბამისად იცვლება პროგრამის წინ მოცემული განმარტებითი ბარათის სათანადო ადგილები.

დაწყ. და საშ. სკ. მთავარსამმართველოს
უფროსი ვ. იმედაშვილი.

პ/მგ. რედაქტორი დ. ყიფშიძე. ტექრედაქტორი ს. ცაიშვილი.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ქორესის 5. შეკვ. № 295. ტირაჟი 5000.
მთავლიტი № 1165.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1938 წლის 1 იანვრიდან განახლებულია

# საქართველოს სსრ განათლების სახ. კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა

# კრებულის

გამოცემა. კრებული გამოდის თვეში ორჯერ.
ხელის მოწერის ფასი წლიწადში 7 მან. 20 კაპ.
ცალკე ნომერი 30 კაპ.

დაკვეთა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

ტფილისი, რუსთაველის პრ № 31. განათლების სახ. კომისარიატი, კრებულის რედაქცია.

5